

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა  
გეოგრაფია  
II ტური  
2019-2020 წწ

**ინსტრუქცია**

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. რა სახელით მოიხსენიებდნენ ანტიკურ საბერძნეთში შავ ზღვას?
  - ა) ყარადენიზი;
  - ბ) ევქსინუს პონტოს;
  - გ) სიმპლეგადა;
  - დ) აზაკუ.
  
2. რომელი სახელმწიფო არ შედის ევროზონის (ერთიანი ევროპული ვალუტის ზონა) შემადგენლობაში?
  - ა) მალტა;
  - ბ) ლუქსემბურგი;
  - გ) შვეიცარია;
  - დ) კვიპროსი.
  
3. მოსახლეობის აღწარმოების ერთი ტიპის შეცვლა მეორე ტიპით არის:
  - ა) მოსახლეობის დინამიკა;
  - ბ) ბუნებრივი მოძრაობა;
  - გ) დემოგრაფიული გადასვლა;
  - დ) დემოგრაფიული აფეთქება.

4. ცხრილში მოცემულ რომელ სახელმწიფოშია მოსახლეობის უფრო მეტი რაოდენობა?


სახელმწიფო	მშპ (აშშ \$)	მშპ ერთ სულზე (აშშ \$)
A	1.509.100.000	2.500
B	1.292.000.000	20.000
C	106.200.000	5.000
D	78.990.000	10.000

- ა) A-ში;
  - ბ) B-ში;
  - გ) C-ში;
  - დ) D-ში.
- 
5. რომელ სახელმწიფოში წარმოიშვა კონფუციანიზმი?
    - ა) ინდოეთში;
    - ბ) ჩინეთში;
    - გ) იაპონიაში;
    - დ) ნეპალში.

6. რომელია ქართული ჯიშის ცხენი?

- ა) იმერული;
- ბ) მეგრული;
- გ) რაჭული;
- დ) კახური.

7. საქართველოს რომელი რუკაა ნაჩვენები ილუსტრაციაზე?






- ა) კლიმატური;
- ბ) ბუნებრივი ზონების;
- გ) ნიადაგების;
- დ) გეოლოგიური.




➤ შესაბამისობის დადგენა - დავალება № 8-10

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.




8. (6 ქ.) დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი არ მეორდება):




	ფოტო		სახელმწიფო
ა	 <p>დანაკილის ღრმული</p>	1	დანია
ბ	 <p>პერიტო-მორენოს მყინვარი</p>	2	საფრანგეთი
გ	 <p>ლეგოლენდი</p>	3	არგენტინა

<p>ა</p>	 <p>K2</p>	<p>4</p>	<p>აშშ</p>
<p>ბ</p>	 <p>ალკატრასი</p>	<p>5</p>	<p>ნიდერლანდები</p>
<p>გ</p>	 <p>ჯამის მინარეთი</p>	<p>6</p>	<p>ეთიოპია</p>
		<p>7</p>	<p>ნეპალი/ჩინეთი</p>
		<p>8</p>	<p>პაკისტანი/ჩინეთი</p>
		<p>9</p>	<p>ლიბია</p>
		<p>10</p>	<p>ავღანეთი</p>

ა	ბ	გ	დ	ე	ვ

9. (6 ქ.) დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი არ მეორდება):

	ფოტო		ბუნების ძეგლი
ა		1	ბირთვისის კანიონი
ბ		2	გოდერძის ნამარხი ტყე
გ		3	დაშაშის კანიონი

დ		4	ჯვრის უღელტეხილის ტრავერტინები
ე		5	ალაზნის ჭალა
ვ		6	როშკის ლოდები
		7	ტახტი-თეფა
		8	მარტვილის კანიონი
		9	ქეთერისი მინერალური ვოკლუზი

ა	ბ	გ	დ	ე	ვ

10. (8 ქ.) დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

სახელმწიფო							
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ
პოლონეთი	საბერძნეთი	ნიდერლანდები	საქართველო	გერმანია	ისრაელი	ბელგია	საფრანგეთი
სახელმწიფო დროშის ფერები							
1		2		3		4	
ლურჯი, თეთრი, წითელი		თეთრი, ლურჯი		შავი, ყვითელი, წითელი		წითელი, თეთრი	


ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ

➤ ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 11-12

**ინსტრუქცია**

გაანალიზეთ დავალებაში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

11. (10 ქ.) გაანალიზეთ მოცემული დემოგრაფიული პირამიდები და უპასუხეთ კითხვებს:





11.1. (3 ქ.) ჩამონათვალიდან ამოწერეთ სამი მონაცემი, რომლის შესახებაც მოცემულია ინფორმაცია დემოგრაფიულ პირამიდეებზე?

- I. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა
- II. მიგრაციული სალდოს მაჩვენებელი
- III. მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობა
- IV. ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა
- V. მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა

11.2. (1 ქ.) რომელ ქვეყანაში იბადება ყველაზე მეტი ბავშვი?

11.3. (1 ქ.) რომელი ქვეყნის მოსახლეობაში ჭარბობს 50-54 წლის ასაკის ხვედრითი წილი სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით?

11.4. (1 ქ.) სქესის განაწილების თვალსაზრისით პირველი ასაკობრივი ჯგუფის (0-4) ფარგლებში რა საერთო მახასიათებელი აქვს ოთხივე ქვეყანას?

11.5. (2 ქ.) მოსახლეობის აღწარმოების რომელი ტიპია გავრცელებული C ქვეყანაში და რა არის ამ ქვეყანაში მოსახლეობის ზრდის ძირითადი მიზეზი?

11.6. (2 ქ.) რომელ ქვეყნებში აღინიშნება მოსახლეობის დაბერების პროცესი და რა შეიძლება იყოს ამის გამომწვევი მიზეზი?

12. (3 ქ.) ილუსტრაციის გამოყენებით უპასუხეთ კითხვებს:



12.1. (1 ქ.) საქართველოს რომელ ქალაქშია გადაღებული ეს ფოტო?

12.2. (1 ქ.) რა ნაგებობაა გამოსახული ფოტოზე წინა ხედზე?

12.3. (1 ქ.) რა ფუნქცია აქვს ამ ნაგებობას?

დავალების #	<p style="text-align: center;">შეფასების სქემა და სწორი პასუხების ნიმუშები ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გეოგრაფია II ტური მაქსიმალური ქულა - 40</p>	ქულა																
1	ბ	1																
2	ბ	1																
3	ბ	1																
4	ა	1																
5	ბ	1																
6	ბ	1																
7	დ	1																
8	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით;</li> <li>• თითოეული შესაბამისობის დადგენა ფასდება 1 ქულით; დავალების ჯამური ქულაა - 6.</li> </ul> <table border="1" data-bbox="228 869 623 953" style="margin-left: 20px;"> <tr> <td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td><td>ვ</td> </tr> <tr> <td>6</td><td>3</td><td>1</td><td>8</td><td>4</td><td>10</td> </tr> </table>	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	6	3	1	8	4	10	6				
ა	ბ	გ	დ	ე	ვ													
6	3	1	8	4	10													
9	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით;</li> <li>• თითოეული შესაბამისობის დადგენა ფასდება 1 ქულით; დავალების ჯამური ქულაა - 6.</li> </ul> <table border="1" data-bbox="228 1182 652 1266" style="margin-left: 20px;"> <tr> <td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td><td>ვ</td> </tr> <tr> <td>7</td><td>1</td><td>8</td><td>5</td><td>2</td><td>4</td> </tr> </table>	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	7	1	8	5	2	4	6				
ა	ბ	გ	დ	ე	ვ													
7	1	8	5	2	4													
10	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით;</li> <li>• თითოეული შესაბამისობის დადგენა ფასდება 1 ქულით; დავალების ჯამური ქულაა - 8.</li> </ul> <table border="1" data-bbox="228 1495 643 1579" style="margin-left: 20px;"> <tr> <td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td><td>ვ</td><td>ზ</td><td>თ</td> </tr> <tr> <td>4</td><td>2</td><td>1</td><td>4</td><td>3</td><td>2</td><td>3</td><td>1</td> </tr> </table>	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	4	2	1	4	3	2	3	1	8
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ											
4	2	1	4	3	2	3	1											

დავალების #	<p style="text-align: center;">შეფასების სქემა და სწორი პასუხების ნიმუშები ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გეოგრაფია II ტური მაქსიმალური ქულა - 40</p>	ქულა
11.1	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად ამოწერილი თითოეული ინფორმაცია ფასდება 1 ქულით; დავალების ჯამური ქულაა - 3.</li> </ul> <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ I. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის (1 ქ.);</li> <li>✓ III. მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობის (1 ქ.);</li> <li>✓ IV. ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის (1 ქ.).</li> </ul>	3
11.2	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული ქვეყანა ფასდება 1 ქულით.</li> </ul> <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ C ქვეყანაში.</li> </ul>	1
11.3	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული ქვეყანა ფასდება 1 ქულით.</li> </ul> <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ A ქვეყანაში.</li> </ul>	1
11.4	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული საერთო მახასიათებელი ფასდება 1 ქულით.</li> </ul> <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ყველგან ჭარბობს ბიჭების რაოდენობა.</li> </ul>	1

დავალების #	<p style="text-align: center;"><b>შეფასების სქემა და სწორი პასუხების ნიმუშები</b>  <b>ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის</b>  <b>გეოგრაფია</b>  <b>II ტური</b>  <b>მაქსიმალური ქულა - 40</b></p>	ქულა
11.5	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული აღწარმოების ტიპი ფასდება 1 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული მიზეზი ფასდება 1 ქულით;</li> </ul> <p>დავალების ჯამური ქულაა - 2.</p> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ <i>C ქვეყანაში გაფართოებული აღწარმოების ტიპია (1 ქ.);</i></li> <li>✓ <i>მოსახლეობა ძირითადად მაღალი შობადობის მაჩვენებლის ხარჯზე იზრდება (1 ქ.).</i></li> </ul>	2
11.6	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით;</li> <li>✓ სწორად დასახელებული ორივე ქვეყანა ფასდება 1 ქულით;</li> <li>✓ სწორად დასახელებული მიზეზი ფასდება 1 ქულით;</li> </ul> <p>დავალების ჯამური ქულაა - 2.</p> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ <i>A და B ქვეყნებში (1 ქ.);</i></li> <li>✓ <i>ამის მიზეზია შობადობის დაბალი დონე (1 ქ.).</i></li> </ul>	2
12.1	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული ქალაქი ფასდება 1 ქულით.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ <i>ფოტო გადაღებულია ქ. ბათუმში.</i></li> </ul>	1
12.2	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული ობიექტის სახელწოდება ფასდება 1 ქულით.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ <i>ფოტოზე გამოსახულია შუქურა.</i></li> </ul>	1
12.3	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული ფუნქცია ფასდება 1 ქულით.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ <i>შუქურას საზღვაო ხომალდები ნავიგაციისთვის იყენებენ.</i></li> </ul>	1